جمعية خدمة المحتوى الإسلامي باللغات

جمعية الدعوة وتوعية الجاليات بالربوة

بيان الإسلام
Bayan AL-Islam

أنا مسلم -جورجي

მე ვარ მუსლიმი

أَنَـــا مُسْلِـــــمٌ

პროფესორი მუჰამმად იბნ იბრაჰიმ ალ-ჰამდ

29 شوال 1446
27/04/2025

أنا مسلم

მე ვარ მუსლიმი

მე ვარ მუსლიმი[1]

ავტორი: პროფესორი მუჰამმად იბნ იბრაჰიმ ალ-ჰამდ

მე მუსლიმი ვარ - ნიშნავს იმას, რომ ჩემი რელიგია ისლამია. ისლამი წმინდა და დიდებული სიტყვაა, რომელიც ეანდერძა უპირველესი შუავალისგან უკანასკნელ შუამავლამდე (ალლაჰის მშვიდობა მათ); ეს დიდებული სიტყვა ატარებს მაღალ და ფასეულ მნიშვნელობას; მისი მნიშვნელობა არის შემქმნელზე დამორჩილება. ისლამი ნიშნავს მშვიდობას, ბედნიერებას, უსაფრთხოებას და ყველა ადამიანის სიმშვიდეს.

ამიტომაც, ისლამურ კანონმდებლობაში ბევრჯერ არის მოხსენიებული სიტყვა "მშვიდობა" და "ისლამი"; "ას-სალამ"- ალლაჰის სახელებიდან ერთ-ერთია. მუსლიმებს შორის მისალმებაც არის - "ას-სალამ", სამოთხის მკვიდრთა მისალმებაც არის - "ას-სალამ" (მშვიდობა) ჭეშმარიტი მუსლიმი არის ის, ვისი ენისგან და ხელისგან დაცული არიან სხვა მუსლიმები. ისლამი არის სიკეთის რელიგია ყველასთვის და ფართო გზა ბედნიერებისკენ ამქვეყნად და საიქიოში; ამიტომაც, ის მოვიდა ბოლო ყოვლისმომცველ, ნათელ და ყველასთვის ღია რელიგიად, რომელიც არ ანსხვავებს არავის არც ფერით, არც წარმომავლობით და ზრუნავს ყველა ადამიანზე ერთნაირად. ისლამში ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მხოლოდ იმით, რამდენად კარგად იცავენ მისი სწავლების წესებს.

ამიტომაც ყოველი სული არის თანაბარუფლებიანი; იმიტომ, რომ ის შეესაბამება ადამიანის ფიტრას (ფიტრა - არაბული სიტყვაა და ნიშნავს ბუნებას, ბუნებრიობას, თანდაყოლილ თვისებას); ყოველი ადამიანი იბადება ბუნებრივად კეთილშობილი, სამართლიანი, თავისუფალი, შეყვარებული თავის ღმერთზე, დარწმუნებული იმაში, რომ ის ერთადერთია, ვინც იმსახურებს თაყვანისცემას და არ ჰყავს მას თანაზიარი. ადამიანის ეს ბუნებრიობა იცვლება მხოლოდ სხვადასხვა გარემოებების ზემოქმედებით. ეს არის რელიგია, რომელიც ადამიანებისთვის დაუმტკიცა მათმა შემქმნელმა, უფალმა და ღმერთმა.

[1] ეს ტექსტი დაწერილია ისლამის გასაცნობად

ჩემი რელიგია ისლამი მასწავლის, რომ მე ვიცხოვრებ ამქვეყნად და სიკვდილის შემდეგ გადავალ საიქიოში - მარადიულ სამყოფელში, სადაც ადამიანები შევლენ ან სამოთხეში ან ჯოჯოხეთში.

ჩემი რელიგია ისლამი მიბრძანებს და მიკრძალავს. და თუ შევასრულებ მის ბრძანებებს და გავშორდები აკრძალულებს, მაშინ ბედნიერი ვიქნები ამქვეყნიურ და საიქიო ცხოვრებაში. თუ უყურადღებობას გამოვიჩენ, მაშინ ვიქნები უბედური ამქვეყნადაც და აახირეთშიც ჩემი ცოდვებისდა მიხედვით.

უდიდესი ბრძანება, რასაც მიბრძანებს ისლამი არის ერთღმერთიანობა(თავჰიდ); და მე ვამოწმებ და მწამს მტკიცე რწმენით, რომ ალლაჰი ჩემი შემქნელია და მას ვეთაყვანები. მე თაყვანს ვცემ მხოლოდ ალლაჰს მისდამი სიყვარულით, მისი სასჯელის შიშით და მისი ჯილდოს იმედით, ასევე მისადმი მინდობით. ეს მონოთეიზმი ჩამოყალიბებულია ალლაჰის ერთღმერთიანობისა და მუჰამმადის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შუამავლობის დამოწმებაში. მუჰამმადი არის მოციქულების ბეჭედი; გამოგზავნილი ალლაჰისგან სამყაროების წყალობად; მისით დასრულდა მოციქულობა და წერილები; და აღარ იქნება მის შემდეგ მოციქული. ის მოვიდა საერთო, მართალი რელიგიით ყველა დროისთვის, ადგილისთვის და ხალხისთვის;

ჩემი რელიგია მიბრძანებს, რომ მტკიცედ მწამდეს ანგელოზების და ყველა შუამავლის, რომელთა სათავეშიც არიან - ნოე, აბრაამი, მოსე, იესო და მუჰამმადი - ალლაჰის მშვიდობა მათ.

და მიბრძანებს, რომ მწამდეს ღვთიური წიგნების, რომლებიც გარდმოევლინა შუამავლებზე და მივყვე მათ შორის ყველაზე ბოლო და უდიდეს წერილს (წმინდა ყურანს).

ჩემი რელიგია მიბრძანებს, რომ მწამდეს განკითხვის დღის, რომელშიც ყველა მიიღებს საზღაურს მათი საქმეების მიხედვით. ჩემი რელიგია მიბრძანებს, რომ მწამდეს ბედისწერის, და კმაყოფილებით მივიღო ყველა კარგი და ცუდი ამქვეყნად, ამასთანავე უნდა ვისწრაფოდე იმისკენ, რაც გადამარჩენს.

იმის რწმენა, რომ ყველაფერი წინასწარ დაწერილია მაძლევს სიმშვიდეს და მოთმინებას. ასევე, არ ვვარდები მწუხარებაში დაკარგულის გამო. იმიტომ, რომ მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული

იმაში, რომ ის რაც დამემერთა არ ჩამივლიდა გვერდზე, და ის რამაც ჩამიარა არ დამემართებოდა. ყველაფერი წინასწარ დაწერილია ალლაჰის მიერ და მე მხოლოდ ის დამრჩენია, რომ გავაკეთო მიზეზი და კმაყოფილი ვიყო იმით, რაც მის შემდგომ მოხდება.

ისლამი მიბრძანებს, რომ განვიწმინდო სული კეთილი საქმეების შესრულებით და საუკეთესო ზნეობით, რომლითაც კმაყოფილი იქნება ჩემი ღმერთი და გაწმინდავს ჩემს სულს, გააბედნიერებს ჩემს გულს, გახსნის ჩემს მკერდს, გამინათებს გზას და გამხდის საზოგადოებისთვის სასარგებლო წევრად.

იმ უდიდესი საქმეებიდან არის: ერთღმერთიანობა, დღეში ხუთჯერადი ლოცვა, მოწყალების გაცემა, რამადანის თვეში მარხვა და მექქაში პილიგრიმობა, თუ არის ამის საშუალება.

უდიდესი რამ, რაც მკერდს ხსნის და ბედნიერს ხდის ადამიანს არის ყურანის რეგულარული კითხვა, რომელიც არის ალლაჰის სიტყვა. ის უდიდესი წიგნია, რომელიც შეიცავს პირველი და ბოლო თაბოების ცოდნას. ყურანის კითხვა უდიდეს სიმშვიდეს და ბედნიერებას ანიჭებს ნებისმიერ ადამიანს მიუხედავად იმისა, ესმის თუ არა მას მისი მნიშვნელობა.

უდიდესი რამ, რასაც სიმშვიდე მოაქვს გულისთვის არის ალლაჰზე ბევრი ვედრება და ყველაფრის თხოვნა მხოლოდ მისგან, იქნება ეს პატარა თუ დიდი თხოვნა, ყველაფერი უნდა ვთხოვოთ მხოლოდ ალლაჰს, დიდებულს. ალლაჰი პასუხობს იმის ვედრებას, ვინც გულწრფელად შესთხოვს მას.

ასევე, უდიდესი სიმშვიდე მოაქვს ყოვლისშემძლე და დიდებული ალლაჰის ხშირ მოხსენიებას.

ჩვენმა შუამავალმა (ალლაჰის მშვიდობა და ლოცვა მას) მიგვითითა, თუ როგორ უნდა მოვიხსენიოთ ალლაჰი და გვასწავლა მისი მოხსენიების საუკეთესო გზა. მათ შორის არის ოთხი წინადადება, რომელიც ყურანის შემდეგ არის საუკეთესო სიტყვა, და ეს არის: სუბჰანალლაჰ (ქება ალლაჰ), ალჰამდულილლაჰ (დიდება ალლაჰს), ლა ილააჰა ილლაა ალლაჰ (არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა), ალლაჰუ აქბარ (ალლაჰი უდიდესია).

და ასევე: "ასთაღფირულლაჰ (ალლაჰს ვთხოვ პატიებას), ვა ლაა ჰავლა ვა ლაა ყუვვათა ილლაა ბილლააჰ (არ არსებობს ძალა და ძლევამოსილება გარდა ალლაჰისა).

ეს ყველა ვედრება გულს სიმშვიდეს და უცნაურ, სასიამოვნო შეგრძნებას ანიჭებს.

ისლამი მიბრძანებს, რომ ვიყო ღირსეული ადამიანი და დავშორდე იმას, რაც გაანადგურებს ჩემს ადამიანურ ღირსებას. ასევე მიბრძანებს, რომ ჩემი გონება და სხეული გამოვიყენო იმ საქმეებისთვის, რომლებიც სარგებლობას მოიტანს ამ ქვეყნისთვის და აახირეთისთვისაც.

ისლამი მიბრძანებს, რომ ვიყო შემწყალებელი, საუკეთესო ზნეობის და კარგად მოვეპყრო სხვებს სიტყვითაც და საქმითაც.

ადამიანების უდიდეს უფლებათაგან ჩემს მიმართ ისლამმა დააწესა მშობლის უფლება; ჩემი რელიგია მიბრძანებს, რომ ისინი მიყვარდეს, პატივს ვცემდე, დავეხმარო მათ ყველაფერში; განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი მიაღწევენ მოხუცებულობის ასაკს. ამიტომაც შენ დაინახავ, რომ მუსლიმურ ქვეყნებში დედას და მამას ძალიან აფასებენ, ცდილობენ მათ მოემსახურონ და დაეხმარონ ყველაფერში. რაც უფრო მოხუცები ხდებიან მშობლები და ემატებათ ავადმყოფობა, მით უფრო მეტ პატივს სცემენ და ზრუნავენ მათზე შვილები.

ჩემი რელიგია მასწავლის, რომ ქალს ღირსეული ადგილი უკავია ისლამში და აქვს უდიდესი უფლებები. ქალი - კაცის მეორე ნახევარია ისლამში და საუკეთესო კაცი ის არის, ვინც საუკეთესოდ ექცევა თავის ცოლს. ბავშვობაში ქალს აქვს უფლება, რომ მიიღოს ძუძუთი კვება და საუკეთესო აღზრდა. ის არის ოჯახის თვალისჩინი და მშობლებისა და ძმების გულის სიხარული.

და როცა ის გაიზრდება, მას მაინც აფასებენ და პატივს სცემენ. მისი მეურვე იცავს და ზრუნავს მასზე. ის არ დაუშვებს, რომ ვინმემ ხელი გაწიოს მისკენ ცუდი განზრახვით, ან შეეხოს მას, ან შეხედოს გარყვნილი თვალებით.

როცა ის გათხოვდება ალლაჰის სახელით დაიდება მკაცრი შეთანხმება. მას უფლება აქვს მეუღლის სახლში იცხოვროს დიდი პატივისცემით. მეუღლე ვალდებულია პატივი სცეს მას, იზრუნოს მასზე და დაიცვას ყოველი ცუდისგან.

როცა ის დედა ხდება, მაშინ მისი უფლება ყურანში მოხსენიებულია ალლაჰზე თაყვანისცემის უფლების შემდეგ. ამასთანავე, მასთან ცუდად მოქცევა შირქად (მრავალღმერთიანობა) და დედამიწაზე ბოროტების გავრცელებად ითვლება.

თუ ის არის და - ისლამი ბრძანებს, რომ პატივი ვცეთ მას და დავიცვათ ის ყოველი ცუდისგან. თუ ის დეიდაა - ისეთივე უფლება აქვს, რომ პატივი ვცეთ და გვიყვარდეს, როგორც დედა.

და თუ ის არის ბებია ან მოხუცი მაშინ მისი შვილები, შვილიშვილები და ახლობლები პატივს სცემენ მას, ზრუნავენ მასზე და იღებენ მისგან დარიგებას.

და თუ ის არის შორეული ადამიანი, რომელიც არც ნათესავია , არც მეზობელი, ის მაინც იმსახურებს, რომ პატივი სცენ მას ისევე, როგორც ყველა მუსლიმს, დაუშვან თვალები მის დანახვაზე და ა.შ.

ისლამური საზოგადოება დღემდე იცავს ქალის უფლებებს, რაც ხდის მას დაფასებულს და უფრო მნიშვნელოვანს, სხვა არამუსლიმ ქალებთან შედარებით.

ისლამში ქალს აქვს უფლება ფლობდეს ქონებას, იქირავოს, გაყიდოს, იყიდოს და გაატაროს სხვა საქმიანი ოპერაციები. ასევე, მას აქვს უფლება ისწავლოს და ასწავლოს ისე, რომ არ ეწინააღმდეგებოდეს მის რელიგიას. ისლამში არის ისეთი ცოდნა, რომლის მიღებაც ყოველი მუსლიმისთვის სავალდებულოა ქალისთვისაც და კაცისთვისაც.

ზოგადად ქალი და კაცი თანასწორუფლებიანია ისლამში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა რომელიმე უფლება დაკავშირებულია და ეკუთვნის მხოლოდ მამაკაცს ან მხოლოდ ქალს.

ჩემი რელიგია მიბრძანებს, რომ მიყვარდეს ჩემი ძმები, ჩემი დები, ბიძები, დეიდები, მამიდები და ყველა ახლობლები. ასევე, მიბრძანებს, რომ დავიცვა ჩემი ცოლის, შვილებისა და მეზობლების უფლებები.

ჩემი რელიგია მიბრძანებს, რომ ვეძიო ცოდნა, ავამაღლო ჩემი ზნეობა და განვავითარო ჩემი გონებრივი შესაძლებლობები.

ასევე, მიბრძანებს, რომ ვიყო მორცხვი, ლმობიერი, ხელგაშლილი, გამბედავი, ბრძენი, გაწონასწორებული, მომთმენი, ერთგული, მოკრძალებული, მპატიებელი, სუფთა, ლოიალური, ხალხისთვის

სიკეთის მსურველი, ნებადართული სარჩოს მშოვნელი, ღარიბებზე მზრუნველი. ავადმყოფების მომნახულე, დაპირების შემსრულებელი, კეთილი სიტყვის მთქმელი, ხალხს გაღიმებული სახით შევხვდე და გავაბედნიერო ისინი, როგორც შევძლებ.

ამასთანავე, ჩემი რელიგია მაფრთხილებს, რომ გავშორდე უმეცრობას, მიკრძალავს მრავალღმერთიანობას, უღმერთობას, ცოდვებს, გარყვნილობას, პროცენტებს, შურიანობას, სიბოროტეს, ცუდ განზრახვებს, სიბრაზეს, სიზარმაცეს, ჭორაობას, სიძუნწეს, უსაქმურობას, სხვისი საიდუმლოს გამხელას, ხალხისთვის ზიანის მიყენებას, უაზრო ლაპარაკს, ნათესაური კავშირის გაწყვეტას, მეზობელთან ცუდად მოქცევას და ზოგადად, ყველა ადამიანთან ცუდად მოქცევას.

ისლამი მიკრძალავს, ალკოჰოლური სასმელის მიღებას, ნარკოტიკების მოხმარებას, აზარტულ თამაშებს, ქურდობას, თაღლითობას, სხვისი ქონების წართმევას, ხალხის დაშინებას, ხალხზე თვალთვალს, მათი ნაკლოვანების ძიებას და მათ წინააღმდეგ გამოყენებას.

ჩემი რელიგია იცავს ქონებას, რომლითაც ხელს უწყობს მშვიდობისა და სანდოობის გავრცელებას მსოფლიოში. ამიტომაც, ის მოუწოდებს პატიოსნობისკენ და აქებს ამ თვისების მქონე ხალხს და პირდება მათ საუკეთესო ცხოვრებასა და სამოთხეს იმქვეყნად. კრძალავს მოპარვას და ვინც პარავს მას პირდება სასჯელს ამქვეყნადაც და საიქიოშიც.

ჩემი რელიგია იცავს ადამიანის სიცოცხლეს და კრძალავს მის არაკანონიერ ხელყოფას ნებისმიერი ფორმით და კრძალავს ადამიანზე თავდასხმას სიტყვითაც კი.

უფრო მეტიც, ჩემი რელიგია კრძალავს საკუთარ თავზე თავდასხმას, ჯანმრთელობის უყურადღებობით დატოვებას ან მასზე ზიანის მიყენებას, და ასევე - თავის მოკვლას.

ჩემი რელიგია იძლევა თავისუფლების გარანტიას და არეგულირებს მას. ისლამით ადამიანი თავისუფალია თავის აზროვნებაში, ყიდვასა და გაყიდვაში, ვაჭრობაში და გადაადგილებაში. თავისუფალია, რომ მიირთვას საუკეთესო საკვები და სასმელი, ან

ჩაიცვას საუკეთესოდ. მოუსმინოს და უყუროს, რასაც ისურვებს გარდა იმისა, რაშიც არის ცოდვა და ზიანი მისი სიცოცხლისთვის.

ჩემი რელიგია არეგულირებს თავისუფლებას და არ აძლევს უფლებას, რომ ადამიანი იმაში შევიდეს, რამაც შეიძლება ზიანი მოუტანოს მას, მის ქონებას და მის ჯანმრთელობას, ან თუნდაც სხვა ადამიანს.

თუ შენ შეხედავ იმ ადამიანებს, რომლებმაც თავს ყველაფრის უფლება მისცეს - დაინახავ, რომ ისინი არ ცხოვრობენ ბედნიერი ცხოვრებით და ვერ გამოდიან იმ ჭაობიდან, რომელშიც ჩაიფლენ თავიანთი სურვილით და დაინახავ, რომ ბევრი მათგანი სიცოცხლეს თავის მოკვლით ასრულებს, რომ გამოვიდნენ იმ მწუხარებისგან, რომელსაც ვერ იშორებენ.

ჩემი რელიგია მასწავლის უმაღლესი ეთიკის ნორმებს საკვების ან სასმელის მიღების დროს, ძილის დროს და ხალხთან ურთიერთობისას.

ჩემი რელიგია მასწავლის შემწყნარებლობას ყიდვა-გაყიდვაში, ასევე სხვისი და საკუთარი უფლებების დაცვას. ჩემი რელიგია მასწავლის, რომ შემწყნარებელი ვიყო სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან, პატივი ვცე მათ და კარგად მოვექცე.

ისტორია გვიჩვენებს, რომ ისლამი ყოველთვის ყველაზე კარგად ექცეოდა სხვა რელიგიის წარმომადგებლებს. მუსლიმებს არაერთხელ უწევდათ სხვა განსხვავებულ საზოგადოებასთან ცხოვრება და მათ არაერთხელ მოუწიათ მუსლიმი მმართველის დროს ცხოვრება და მათ ყოველთვის საუკეთესოდ ექცეოდნენ.

ზოგადად, ისლამმა მასწავლა საუკეთესო ზნეობა, ურთიერთობების საუკეთესო ფორმა, რაც მე მაძლიერებს და ბედნიერს მხდის ამქვეყნად. ისლამმა ამიკრძალა ყველაფერი, რამაც შეიძლება მომიწამლოს ჩემი ცხოვრება, ზიანი მიაყენოს საზოგადოებას, ჩემ თავს, გონებას, ქონებას, ღირსებას და პატიოსნებას.

რაც უფრო ვიცავ ამ ბრძანებებს, მით უფრო ბედნიერი ვხდები, და რაც უფრო ნაკლებად ვასრულებ ჩემი ღმერთის ბრძანებებს, მით უფრო ნაკლებ ბედნიერებას განვიცდი.

ჩემი ნათქვამი არ ნიშნავს იმას, რომ მე არასდროს ვცდები და არ ვუშვებ შეცდომებს, ჩემი რელიგია ყურად იღებს ადამიანის ბუნებას,

რომ შეიძლება შევცდე და ცოდვა ჩავიდინო ასევე, შეიძლება დავსუსტდე და უყურადღებობა გამოვიჩინო. ამიტომაც, მიხსნის მე მონანიების კარებს და ალლაჰთან დაბრუნების შანს მაძლევს. პატიება შლის ჩემს მიერ შესრულებულ ცოდვებს და აამაღლებს ჩემს მდგომარეობას ალლაჰის წინაშე.

ყოველი ცოდნის, ზნეობის, ურთიერთობების წყაროდ ისლამში ითვლება წმინდა ყურანი და სუნნა.

დასასრულს, მინდა დარწმუნებით ვთქვა რომ: ადამიანი დედამიწის ნებისმიერ წერტილში, რომ შეხედავს ისლამს წრფელი გულით, რაიმე ცუდი განზრახვის გარეშე - ის ვერ შეძლებს, რომ ვერ მიიღოს ისლამი თავის რელიგიად. უბედურება იმაშია, რომ ზოგიერთი პროპაგანდისტი, რომელიც არ ასრულებს რელიგიას სრულად, ამახინჯებს მას და არასწორად მიაქვს ხალხამდე.

ნებისმიერმა ადამიანმა, რომ შეხედავს ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანს, თუ როგორ იცავს ის რელიგიას - ის ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიიღებდა მას. მისთვის ნათელი იქნებოდა, რომ ისლამი მოუწოდებს კაცობრიობის ბედნიერებისკენ, მშვიდობისკენ და უსაფრთხოებისკენ. და ასევე, სამართლიანობისა და სიკეთის გავრცელებისკენ.

რაც შეეხება ზოგიერთ ეთნიკურ მუსლიმებს - მათი საქციელი საერთოდ არ შეესაბამება ისლამის ნორმებს, ჭეშმარიტებიდან აცდენაზე პასუხისმგებელი მხოლოდ ის არის, ვინც აცდა მას თავისი სურვილით. ისლამი არ უბრძანებს მათ, რომ ასე მოიქცნენ, პირიქით, ის მოუწოდებს მყარად იდგნენ იმაზე, რასაც ისლამი მოუწოდებს.

ამასთანავე სამართლიანი იქნება, რომ შევხედოთ იმათ, ვინც იცავენ რელიგიურ ნორმებს სრულად თავის თავთან და სხვებთან მიმართებაში. ეს ავსებს გულს აღფრთოვანებითა და პატივისცემით მათ მიმართ, ვინც ისლამით ცხოვრობს. "ისლამმა არ დაუშვა ყველაზე მცირე გამორჩენაც კი ადამიანთა დარიგებაში, სწორი გზისკენ მიქცევასა და აღზრდაში, და გააფრთხილა ისინი ყოველგვარი ბოროტებისგან და ყველა გზა გადაკეტა მისკენ."

ამგვარად, ისინი, ვინც ალლაჰს თაყვანს სცემენ და მის რიტუალებს იცავენ, ყველაზე ბედნიერი ადამიანები არიან, ასევე თვითდისციპლინისა და კეთილშობილური ზნე-ჩვეულების

უმაღლესი დონის მქონე ადამიანები არიან, ამას დაამოწმებს ახლობელიც, შორეულიც, მომხრეც და მოწინააღმდეგეც.

რაც შეეხება მხოლოდ იმ მუსლიმების მდგომარეობის ყურებას, რომლებიც უგულებელყოფენ თავიანთ რელიგიას და გადაუხვევენ მის სწორ გზას - ეს არანაირად არ არის სამართლიანი, არამედ თავად უსამართლობაა.

და ბოლოს, ეს არის მოწოდება ყველასთვის, ვინც არ არის მუსლიმი, დაინტერესდეს ისლამით და მიიღოს ის.

ვისაც სურს ისლამში შესვლა, უნდა დაამოწმოს, რომ არ არსებობს ღმერთი, გარდა ალლაჰისა და რომ მუჰამმადი მისი შუამავალია. ამის შემდეგ შეისწავლოს რელიგიიდან ის, რაც ალლაჰმა დააკანონა. და რაც უფრო მეტ ცოდნას მიიღებს და იმოქმედებს ამ ცოდნით, მით უფრო ბედნიერი იქნება და უფრო მაღალი იქნება მისი საფეხური ალლაჰის წინაშე.

Index

მე ვარ მუსლიმი 3

Get to Know about islam

in More Than **100** Languages

موسوعة الأحاديث النبوية
HadeethEnc.com

Encyclopedia of the Translations of the Prophetic Hadīths and their Commentaries

ISLAM HOUSE .com
IslamHouse.com

A Comprehensive Reference for Introducing Islam in the World's Languages

موسوعة القرآن الكريم
QuranEnc.com

Encyclopedia of the Translations of the Meanings and Interpretations of the Noble Qur'an

ما لا يسع أطفال المسلمين جهله
kids.islamenc.com

The Platform of What Muslim Children Must Know

موسوعة المحتوى الإسلامي
IslamEnc.com

A Selection of the Translated Islamic Content

بيان الإسلام
byenah.com

A Simplified Gateway for Introducing Islam and Learning its Rulings